# ხანძთა — სულიერად მშობელი ქართველთა

გიორგი მერჩულის დახვეწილი, ნატიფი სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშის, ღრმა იდეური შინაარსითა და მდიდარი სახისმეტყველებით დატვირთული თხზულების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" მნიშვნელობის განსამღვრისას აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერდა: „მას თამამად შეგვიძლია, რომ ვუწოდოთ არამცთუ აგიოგრაფიული, თუგინდ ისტორიული, არამედ სიტყვაკაზმული ნაწარმოები, ისეთი უნარითა და მეთოდითაა ის დაწერილი. მკითხველს აქ ხიბლავს ენისა და სტილის ვირტუოზობა, ფართო ისტორიული პერსპექტივები, სიუჟეტების რეალისტური და დრამატული განვითარება, ცოცხალი და სულწარმტაცი ფერადებით ბუნების სურათთა დახატვა და ბუნების კულტი, ერთგვარი თაყვანისცემა და გაღმერთება მისი, რაც ძველი დროის და ისიც ეკლესიურ ნაწარმოებში იშვიათად გვხვდება. აქ ჩვენ ვხედავთ სურათის სისწორესიმართლითა და დეტალურად აღწერას" (ქალი, I, 1960. გვ. 152). ამ სიტყვებით გამოკვეთილია ის ძირითადი პრობლემატიკა, რომელთა სისრულით შესწავლა და გამოვლენა აუცილებელი იყო გიორგი მერჩულის, ვითარცა ქართული პროზის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, აკად. ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული" „ნამდვილი მხატვრის", „ფაქიზი და ნაზი ესთეტიკური გემოვნების" მქონე „უებრო მწერლის" მსოფლმხედველობისა და სახისმეტყველების წარმოსაჩენად.

90 წელი გავიდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" პირველი გამოცემიდან, რომელიც აკადემიკოსმა ნიკო მარმა განახორციელა 1911 წელს; მას შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, მაგრამ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ახლახან გამოცემულმა კრებულმა — „ხანძთა — სულიერად მშობელი ქართველთა", აჩვენა, რომ კიდევ ბევრი რამ არის განსამარტებელი და ასახსნელი.

სამეცნიერო შრომების კრებული გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" დაწერიდან 1050 წლისთავს ეძღვნება.

საქართველოს ისტორიაში გრიგოლ ხანძთელს სრულიად განსაკუთრებული, გამორჩეული ადგილი უჭირავს, ვინაიდან მისმა, ვითარცა „ხორცითა თხელ" და „სულით უბიწო" პიროვნების, „შეცისა კაცისა და ქვეყანისა ანგელოზის", მხრებმა იტვირთეს საქართველოს მომავალზე ზრუნვა. კრებულში განთავსებული წერილები კიდევ ერთხელ ახლებურად წარმოაჩენენ „გრიგოლ ხანძთელის" ცხოვრების ღირსებებს, მნიშვნელობას ქართული კულტურის ისტორიაში, გრიგოლ ხანძთელის დამსახურებას ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიის წინაშე.

გურამ ბენაშვილის „მცირე ესსე „წმინდანისა და ერისკაცის სილუეტი", თვალნათლივ ხატავს და აფასებს „მარადისობას ადევნებული" ეროვნული აღორძინებისათვის თავდადებული წმინდანის სრულყოფილ სახეს, როგორც პიროვნებისა და როგორც მოღვაწისა, როგორც ეკლესიათა მაშენებლისა და როგორც ზნეობრივი გზამკვლევისა, როგორც „მრავალთა მამისა", ანუ სიმბოლურად — აბრაამისა, და როგორც სჯულმდებლისა, ანუ სიმბოლურად — მოსე წინასწარმეტყველისა. გრიგოლ ხანძთელი სულხან-საბა ორბელიანთან და ილია ჭავჭავაძესთან ერთად „ერის მამად" მოიაზრება, რომელთაგან „ყველაზე ბედნიერი მაინც გრიგოლ ხანძთელი იყო, რადგან მისი გრანდიოზული კულტურულ-აღმშენებლობითი ღვაწლი და საქმიანობა საბოლოოდ ბრწყინვალე შედეგებით დაგვირგვინდა — საქართველო გაერთიანდა და საუკუნეთა მანძილზე წარმმართველი როლი შეასრულა კავკასიაში".

წერილი „გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კურაპალატის სახისმეტყველებისათვის" წარმოაჩენს წმიდა გრიგოლ ხანძთელს, ვითარცა „მღუდეს მჯულისას", რომლის ხახელშივეა გაცხადებული მისი ღრმა სულიერი მისია — ქართული ეკლესიისა და ქართველი ერის „ახალი ხატყოფისათვის" ხულიერი მლვიძარება, და აშოტ კურაპალატს, ვითარცა „მღუდეს ქრისტიანეთას", რომლისაგან ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული არტანუჯის ციხექალაქის განახლება ბაგრატიონთაგან გორგასლიანთა საქმის გაგრძელებად მოიაზრება. გრიგოლი და აშოტი ერთად შეუდგნენ ღვთისაგან დაკისრებულის აღსრულებას: ერის სულიერი წინამძღვრობა გრიგოლს, საქართველოს ფიზიკურ-სულიერი წინამძღოლობა აშოტს ხვდა წილად. წერილში პირველად გამოიყო გრიგოლის მოღვაწეობის შვიდი ეტაპი, რაც ბიბლიური სახისმეტყველებითაა განსაზღვრული, და გრიგოლისა და აშოტის, ვითარცა სულიერი მოძღვრისა და მეფე-მონარქის ურთიერთობის ოთხი საფეხური, რასაც ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მიზანი ჰქონდა: საქართველო უნდა ჩამოყალიბებულიყო პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად, იოანე საბანისძის სიტყვით, „ყურესა ქვეყანისასა".

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", როგორც მრავალმხრივ საყურადღებო ნაწარმოები, არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა კუთხით კვლევის საგანი. აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა რამდენიმეგზის განიხილა როგორც საისტორიო წყარო თავის ფუნდამენტალურ შრომებში: „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა", „საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია", „ქართველი ერის ისტორია", „ქართული სამართლის ისტორია"... მან თხზულება მხატვრული თვალსაზრისითაც შეაფასა. მარიამ კარბელაშვილის წერილში „გიორგი მერჩულე უებრო მწერალია", დეტალურადაა გაანალიზებული ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება თხზულებისა და მისი ავტორისადმი და შეფასებულია მისი ნააზრევის მნიშვნელობა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" მომავალი კვლევისათვის.

რევაზ ბარამიძემ შარშან გამოაქვეყნა მონოგრაფია „გიორგი მერჩულე — ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება", მაგრამ მას ყველაფერი არ უთქვამს თხზულების შესახებ, რასაც ადასტურებს კრებულში დაბეჭდილი წერილი „ცხოვრების" პერსონაჟ ქალთა შესახებ. საქართველოს ეროვნულ ცხოვრებაში ქალის გამორჩეული მისიის განსაზღვრის, ადრეულ თხზულებებში ასახულ ქალთა უკვდავი სახეების წარმოჩენის შემდეგ იგი ახასიათებს გრიგოლის დედას, ფებრონიას, დედოფლებსა და დიდგვაროვანთა ქალებს, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღებით იკვლევს აშოტ კურაპალატის მიჯნურის სახეს. ჰაგიოგრაფიის ქალთა სახეებმა, ავტორის აზრით, უდავოდ განაპირობეს „რუსთველური ჰიმნი ქალის დიდებისა".

ქეთევან ბეზარაშვილი წერილში „ლოგოს-ლოგოს პარადიგმა პატრისტიკაში" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" მიხედვით ჩვეული სიღრმით იკვლევს რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების საკითხებს ბერძნული მასალის გათვალისწინებით.

ქეთევან ელაშვილმა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" დამოწმებულ პარადიგმაში „შეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი", რენესანსული ცნობიერების ნიშნები დაინახა. ფირუზ მეტრეველი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" სახისმეტყველების ზოგიერთ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას, კერძოდ, საღმრთო მიმზე, „მოუკლებელ ლოცვაზე", აგიოგრაფიულ ხიტყვაზე. ასმათ ჯიქიამ წარმოადგინა რამდენიმე საყურადღებო დაკვირვება თხზულების სახელწოდების, რიცხვთამეტყველების, პერსონაჟების გეოგრაფიული არეალის შესახებ, რომლებიც სახისმეტყველებითი პრინციპების გათვალისწინებითაა ახსნილი. საინტერესოდაა გააზრებული გიორგი მერჩულის სტილი, როდესაც „სიტყვათა შორის უსიტყვოდ ითქმება და იკითხება სასიტყვო და სიტყვიანი — „დუმილი ოქროა რჩეული".

დეკანოზ გიორგი ზვიადაძისა და ნინო გაგოშაშვილის წერილებში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" სადვთისმეტყველო პრობლემებია შესწავლილი; კერძოდ „ყოველთა სათნოებათა მესაკრებელად" მიიჩნევს და განიხილავს ნ. გაგოშაშვილის თხზულებას; ხოლო დეკანოზი გიორგი ზვიადაძე შვიდთაგან ერთზე — სიმდაბლის სათნოებასა და მის მნიშვნელობაზე ესაუბრება მკითხველს.

მერმადინ ონიანმა ხაფუძვლიანად განიხილა გიორგი მერჩულის ცნობა, გრიგოლ ხანძთელის მიერ „საწელიწდო იადგარის" დაწერის შესახებ და დაასკვნა, რომ გრიგოლი არის „საწელიწდო იადგარის" გადამწერი, თანაც მეპირი გადამწერი, და არა ავტორი, რაც მისი ფენომენალური მეხსიერებითაა ახსნილი.

საყურადღებოა ხვთისო მარიძის დაკვირვება თხზულებაში დამოწმებული „ჭმითა სასწაულელი სწაულაჲ სამოძღუროჲს" განსამარტებლად. მისი აზრით, იგი გალობანია, რაც ჰიმნოლოგიის სხვა, მეტად მნიშვნელოვანი საკითხის დასმისკენ უბიძგებს, კერძოდ, იადგართა ისტორიაში ნევმირებულ კრებულთა უფრო ადრე, გრიგოლის მოღვაწეობის დროს არსებობისაკენ, რაც ჰიმნოგრაფიის კვლევის თანამედროვე დონეზე ხაახლეა და შემდგომ დაკვირვებას მოითხოვს უთუოდ.

გოჩა კუჭუხიძის წერილი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" წარმოდგენილ ქრისტიანული სახელმწიფოს გრიგოლისეული და მერჩულესეული მოდელის კვლევას ეძღვნება. მისი აზრით, გიორგი მერჩულემ თავისებური თეოკრატია შესთავაზა მოდულად ქართველ ერს, მაგრამ „საბოლოოდ გაიმარჯვა ისეთი ტიპის სახელმწიფომ, რომლის მეთაური ერთ-ერთ უპირველეს მოძღვრად, პლატონისეულ „მეფე-ფილოსოფოსად" წარმოდგა". მაგალითად ასახელებს დავით აღმაშენებელს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ცენტრის ჟურნალში „ქართველოლოგი" (2001, №8) დაიბეჭდა 1999 წელს პარიზში გამოცემული რუსულენოვანი ჟურნალის „სიმბოლოს" 42-ე ნომერში გამოქვეყნებული გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" დეკანოზ იოსებ ზეთეიშვილისეული ახალი რუსული თარგმანი მთარგმნელისავე წინასიტყვით. კრებულში დაბეჭდილია დეკანოზ იოსებ ზეთეიშვილის ეს წინასიტყვა, ქართულად თარგმნილი მაკა ელბაქიძის მიერ (თარგმანი იბეჭდება მისი თანხმობით). მასში ახსნილია ის მიზეზები, რის გამოც, ნიკო მარის შემდეგ რუსულად ხელმეორედ ითარგმნა თხზულება, კერძოდ საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის სიზუსტის დასაცავად, აგრეთვე იგი შეიცავს მთარგმნელის დაკვირვებებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე".

გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" რელიგიური, პოლიტიკურ-იდეოლოგიური, ზნეობრივი, კულტურულ-აღმშენებლობითი პრობლემატიკის ახახვით დღესაც აქტუალურია, უბერებელია. იგი ქართველ ერს ასწავლის მუხლჩაუხრელი შრომის, ღვწის, განათლების, ზნეობითი ცხოვრების, ურთიერთსიყვარულის, თანადგომის, სიქველის, თავმდაბლობის აუცილებლობას მომავლისათვის ზრუნვისა და ბრძოლის გზაზე. ქართველ ხალხში დაბუდებული ეროვნული ენერგიისა და სულიერ-ინტელექტუალური მოთხოვნილების არსებობის გამოვლინებად მიგვაჩნია კრებული „ხანძთა — სულიერად მშობელი ქართველთა", ღირსეულ წინაპართა უანგარო, უკიდეგანო ღვაწლის წინაშე გაღებული ოდენ „კნინი ძღვენი", რომელიც კიდევ ერთხელ დააფიქრებს მკითხველს, თუ ვინ იყვნენ ქრისტიანული რწმენით ნასაზრდოები ეროვნული სულისა და ცნობიერების მქონე უდიდესი მოღვაწენი.



**ნესტან სულავა.**